

# უპველის პარიფლის იუპონერი თეატრალური სახესაობები

სათურა კაპანაძე

იუპონიაში თეატრის ჩასახვა შიე-  
 კუთვნა ადრე შუასაუკუნების პერიოდს.  
 როცა ვახსენებთ ადრე შუასაუკუნეებს,  
 აქ უძველესიც იგულისხმება, რადგანაც  
 იაპონელები თავიანთი ისტორიის უძ-  
 ველებს პერიოდად მიიჩნევენ იმ პერი-  
 ოდს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა  
 დამწერლობა (7, გვ. 5). პირველი წე-  
 რილობითი ძეგლები კი სწორედ ადრე  
 შუასაუკუნეებს განეკუთვნება. ესენია:  
 „კუძიკი“<sup>1</sup> – 620 წლით დათარიღებუ-  
 ლი, „კოძიკი“ დათარიღებული 712  
 წლით და „ნიხონგი“ დათარიღებული  
 720 წლით. ამიტომ, როცა განვიხილავთ  
 უძველეს იაპონერ თეატრალურ სანა-  
 ხაობებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მა-  
 რთლა უხსოვარ დროში არსებულ სა-  
 ნახაობებზეა საუბარი.

ნებისმიერი ქვეყნის თეატრის ის-  
 ტორიაში, თეატრის ჩასახვა უკავშირ-  
 დება რაიმე საკულტო დღესასწაულს,  
 რომელიმე მითოლოგიური ღვთაების

სახელს. მაგ., საბერძნეთში ასეთი იყო  
 მეღვინეობის ღმერთი ღიონისე; იაპო-  
 ნიაში კი – მზის ღვთაება ამატერასუ-  
 კერძოდ, ე. წ. „ღმერთების საუკუნეში“,  
 როგორც ამ პერიოდს „კოძიკი“ და  
 „ნიხონგი“, მოიხსენიებს, ამატერასუ;  
 მზის ღვთაება, გაბრაზებული თავის  
 უმცროს ძმაზე – სესანოზე, ქარის,  
 ზღვის ღმერთზე, დაიმალა „ზეცი-  
 ურ მღვიმეში“, ანუ სამყარო დატოვა  
 მზის შექის გარეშე. ამას მოჰყვა ყვე-  
 ლანაირი უბედურება. ამან კი აიმულა  
 ღმერთები მოეფიქრებინათ რაიმე, რომ  
 უკან გამოეხმოთ მზე. ასეთ საშუალე-  
 ბად მათ მოიფიქრეს მოეწყოთ გამოქ-  
 ვაბულის შესავლელთან ცეკვითი სა-  
 ნახაობა, რაც შეიძლება ხმაურიანი და  
 მხიარული. ღვთაებას გაუკეირდებოდა,  
 როგორ შეეძლოთ გამხიარულება, როცა  
 იგი მათთან არ იყო, დაინტერესდებოდა

და გამოიხედავდა. ამ დროს ღვთაებას წინ დაუდებდნენ სარკეს, გაპრიალებულ ლითონს, რის საშუალებითაც ისინი აჩვენებდნენ მას, რომ გარეთაც იყო სხვა მზე. ასე შეძლებდნენ მის დაბრუნებას, ე. ი. შევნარინუნდნენ სამყაროს სიცოცხლეს [4, გვ. 13; 7, გვ. 7-8].

ამისათვის გაიმართა შემდეგი სახის წარმოდგენა:

გამოევაბულში შესასტულის წინ დაანთეს ცეცხლი. მოამზადეს საცეკვაო. მოედანი. ღმერთმა ამე-ნო კიოანემ წარმოთქვა ლოცვა და ღვთაება ამე-ნო უმუშემ დაიწყო ცეკვა. მას თავზე ედო პარიკი, მასაკადის ხის ტოტებისაგან გაეცემული, მისი სამოსის კრძელი მელავი შექუჩებული იყო ერთად და შეკრული. ხელში ეკავა ბამბუქის ტოტი და მახვილი.<sup>2</sup> ცეკვას თან ახლდა წამოძახილები, როგორც დამსწრების მხრიდან, ასევე თვით მოცეკვაისაც.

მაგრამ ეს არ იყო უბრალი ცეკვა: მოცეკვავე ნელ-ნელა შედიოდა ექსტუზში და მხრებიდან აგდებდა სამოსს. აშიშვლებდა ტორსს. შემდეგ იხსნიდა ლუნტს, რომლითაც ჰქონდა დამაგრებული სამოსა და აშიშვლებდა მუცელს. ამას თან სდევდა ხმაურიანი შეძახილები.

ღმერთებს თავიათი ჩანაფიქრი გაუმართდათ. ხმაურმა აიძულა ღვთაება ამატერასუს გამოეხედა. ამ დროს მას ხელში ხელი წავლო ღმერთ-ტაძიკარაომ და სთხოვა დატოვებინა სამალავი, დაბრუნებოდა სამყაროს. ამ დროს მოცეკვავე უმუშემ თავისი ქვედა ბოლოც ქვევით ჩაიწია. საერთო ექსტუზმა აპოვეას მიაღწია. ამატერასუს ცნობისმოყვარეობამ სძლია და გამოვიდა. ასე დასრულდა უმუშეს ცეკვა [4, გვ. 17-23; 7, გვ. 7], რომელსაც იაპონელმა თეატრმცოდნებმ — სიგეტოსო

კავატაკემ უწოდა strip show, ანდა hula dance-სი. გარკვეულწილად, როგორც ვხედავთ, ასეთი შეფასების საბაბი ჰქონდა კიდევ სიგეტოსო კავატაკეს. ეს ცეკვა თავისი ნიშნებით მართლა ატარებს ასეთი ცეკვის ნიშნებს, მაგრამ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამას ჩვენთვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ამ ცეკვის ადგილი და როლი უძველეს თეატრალურ წარმოდგენებში.

საქმე ისაა, რომ მაგალითად, VIII-IX სს-ებში უკვე შეიმჩნევა მკეთრად გამოყოფილი ცეკვების ორი დიდი ჯგუფი: საერთ და სარიტუალო-საცეკვო [7, გვ. 38]. პირველს განეცუთვნება ძირითადად სამცერატორო კარზე, მაღალი წრის საზოგადოების წევრების საპატიცემულო დამართვული ცეკვები, (სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეპავა საომარ ცეკვებს). მეორეს კი განეკუთვნება უმთავრესად სამიწაომოქედო საწესჩვეულები თამაშობითი ხასიათის წარმოდგენები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი მაგიურ ცეკვებს ქონდათ განკუთვნილი. ამ უძველესი წარმოდგენების აღდგენა არც იმდენად როულია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იაპონიაში, ბევრ სოფელში დღესაც ეწყობა ასეთი სახის რიტუალები. ყოველ შემთხვევაში, როგორც აღნიშნავს თავის ჩანაწერში ა. ვ. გლუსკინა, ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში, იაპონიაში ყოფნის დროს, იგი მომსწრე გახდა ერთ-ერთ იაპონურ სოფელში ჩატარებული ასეთი სახის რიტუალისა [5, გვ. 5]. მართალია მათ განიცადეს თავისებური ცვლილებები, მაგრამ არც იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მნელი იყოს აღდგენა გაცილებით უფრო ძველად არსებული წარმოდგენებისა.

ეს ყოველავე ადგილად შეიძლება ანხსნას, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რა დიდი აღგილი ეკავა ამ წარმო-

დევნებს იაპონელი ზალხის ცხოვრებაში, ყველა ისინი დაკავშირებული არიან სისტომისტები რელიგიასთან, (სიტყვა-სიტყვით „სინტო“ ნიშნავს ღმერთების გზს, სწავლებას). თავისი ყველაზე აღრევული ფორმით იგი წარმოადგენდა პირველყოფილი ადამიანის რწმენას ყოველგვარი „ღმერთების“ (კამების) არსებობის შესახებ. მათი რწმენით ისინი განსახიერებულნი იყვნენ მიწაზე სხვადასხვა ცხოველების, ქვების, მცენარეების, ბუნების სხევადასხვა მოვლენების სახით და იყვნენ უჩევულო ძალის მფლობელნი. ხოლო სამიწათმოქმედო მუერნების ჩამოყალიბებისას, უკვე განეითარებული გვაროვნული წყობილების ღროს, ამ წარმოდგენამ ბოროტ და კეთილ სულებზე აღიდლი დაუთმო წარმოდგენებასა და რწმენას იმ ძალების არსებობაზე რომლებიც მათი აზრით ეხმარებოდნენ, ან ხელს უშლიდნენ სამიწათმოქმედო სამუშაოებში. სწორედ ამის საფუძველზე წარმოიშვა ადრეული ფორმები სხვადასხვა რიტუალებისა [9, გვ. 45], რომლებმაც გამოხატულება პპოვეს იმ ღროს ჩამოყლიბებულ კ. წ. მაცურებში, რაც გამოიხატებოდა სიძლერაცეკებში. სწორედ აქედან მოდის ამ საწესჩვეულებო-სარიტუალო ცეკვების სახელწოლებებიც. მაგალითად, ტოსიგო-ნო მაცური („ვედრება მოსავალზე“), ტაუე-მაცური — „ბრინჯის დარგვის ზეიმი“ და სხვა. სწორედ იგივე მიზეზით აისხება ამ წარმოდგენათა მრავალრიცხოვნებაც, ხოლო ამ ცეკვების დანიშნულებაზე (თუ რა ცეკვა სრულდებოდა და როდის შეიძლება შესრულებულიყო), თვით სახელწოლებაც მიუთითებს. ამითვე აისხება აგრეთვე ისიც, რომ სხვადასხვა წარმოდგენა წლის სხვადასხვა ღროს იმართებოდა.

კრძოდ, ახალი წლის დახაწყისში ეწყობოდა წარმოდგენა ტა-ასობი.<sup>3</sup> ეს წარმოდგენა იმართებოდა ყოველწლიურად 13 იანვარს, ძველი კალენდრით.<sup>4</sup> ამ ცეკვის ღროს მონაწილეები ინსცენირებას უჰთებდნენ სამიწათმოქმედო

სამუშაოების მთელ შემდგომ ჩაითვალისწერას, დაწყებულს მინდვრის დამუშავებიდან, დამთავრებულს მკით. ძირითადად ყველა ეს სანახაობები იყო მაგიური დანიშნულების მქონე. ამით აისხება მათი რწმენა — ისინი თვლიდნენ, რომ ამ წარმოდგენის გამართვა დაეხმარებოდა მათ წლის ბოლოს კარგი მოსავლის მიღებაში, მაგრამ ამით როდი კმაყოფილდებოდნენ. პარალელურად ამისა, მთელი წლის განმავლობაში სრულდებოდა სხვადასხვა სახის წარმოდგენები, რომლებიც უკვე დაკავშირებულნი იყვნენ მოსავლის მოყვანასთან, მის მოვლასთან და სხვა სამიწათმოქმედო სამუშაოებთან. კერძოდ, ახეთი იყო, მაგალითად, „ტაუე-სიძი“. იგი სრულდებოდა ბრინჯის დარგვის დაწყებამდე, ანდა „ონ-ტაუტი მაცური“ — „მიწის დამუშავება“. ეს იყო მიწის დამუშავების დაწყების წინ გამართული ზეიმი და სხვა [5; 6; 7].

წლის ბოლოს ეწყობოდა ზეიმი — ცეკვა — „პიმაცური“, ანუ „პიტაჟი — მაცური“<sup>5</sup> — „ცეცხლის ზეიმი“. ეს იყო ცერემონიალი, რომლითაც ისინი ერთი მხრივ, გაცილებას უწყობდნენ ანსებულ წელს და მეორე მხრივ აწარმოებდნენ ვეღრებას, ევედრებოდნენ ღვთაებას აღებული მოსავლის შენახვას. ხოლო სამიწათმოქმედო მუშაობის თთოველ მცირედად არსებულ ფაზასაც კი გააჩნდა თავისი მფარველი — კამი. ეს ფაზები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მაგ, ვეღრება წვიმაზე, მანებლებისა და ქარის დაწყევლის ცერემონიალი და სხვა. საინტერესო ერთი ფაზი კერძოდ, მოსავლის აღების ცერემონიალი — კ. წ. „ჟო-ეპე“, როცა მოსავლიანობის მფარველ ღვთაებასთან მიაქვთ პირველი აღებული მოსავალი. ასეთ რიტუალს აღიარები პქონდა ეკვიპიტებიც, როცა მიწის ღვთაებასთან მიაქვთ პირველი აღებული მოსავალი, თავებისცემისა და მაღლობის ნიშნად.

როგორც ვხედავთ, ყველა ეს რიტუალი სრულდებოდა უშეალოდ მინდვრაზე და არა რამე სცენაზე, მაშინ, რიღესაც ზემოთ აღწერილი უძუმეს ცეკვა, რო-



მელსაც მნიშვნელოვანი აღილი ეკავა ამ რიტუალებში, სრულდებოდა სპეციალურად მოწყობილ სეუნაზე და ატარებდა სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლოს.<sup>6</sup> მაყურებლები კი თავსდებოდნენ ამ სცენის გარშემო. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს უკვე სასცენო ხასიათის წარმოდგენასთან. სხვათაშორის, ტრადიციული იაპონური თეატრისათვის დღესაც სახასიათოა თოხუფთხედი მოედანი, რომელზეც სრულდება წარმოღვენა — ცეკვა, ხოლო მაყურებლები კი თავსდებაან ამ სცენის გარშემო ოთხივე მხრიდან. (მაგ., XIV-XV სეკურში ჩამოყალიბებული ნოს თეატრის საექტაკლები).<sup>7</sup> ამ საექტაკლებმა, ცდილობდნენ რა ფართოდ დაკავშირებას ტრადიციულ სათეატრო სახესთან, ცერემონიალის ფორმა მიიღეს ჯერ კიდევ XVII ს-ის პირველსავე წლებში და აქედან მოყოლებული ასეთივე ხდება მისი ყოველწლიური ფესტივალებიც). თავისუფლად შეიძლება, რომ ეს იყოს იმ ძელის გამომნაშიდან აღებული, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ეს ცეკვა, (უძუმეს ცეკვა), ტრანსფორმირებული სახით გვხვდება უკვე VIII ს-ში სასახლის კარზე არსებული ე. წ. სარუმეს ცეკვით. ცეკვას ეწოდებოდა „სულების დაშვიდება“.

კერძოდ, VIII ს-ში და შემდგომ პერიოდშიც, იმ რიტუალების გვერდით, რომელიც ტანდებოდა სასახლის კარზე, არსებობდა აგრეთვე რიტუალი — „სულების დაშვიდების ზეიმი“ („ტამასი — ძუმენო მაცური“). ეს რიტუალი შედგებოდა ცეკვისგან, რომელსაც ასრულებდა სარუმე, ქალი — მოცეკვავე<sup>8</sup>. ამ ცეკვას უნდა დაემშეიდებინა იმპერიატორის სული. აგრეთვე, მასთან ერთად იმპერიატორის სხვა ოჯახის წევრებისაც. „დამშვიდება“ კი ნიშნავდა, რომ ჩაუკლა სურვილი სულისა, დაეღწია თავი სხეულის ტყვეობისაგან. რადგანაც სულის გასვლა სხეულიდან ნიშნავდა სიკვდილს, ეს რიტუალი ცეკვა, თავისი არსით იყო თავისებური ვეღრება „ცხოვრების გახანგრძლივებისად-

მი“; ამ შემთხვევაში გაბატონებული კლასის წარმომადგენლების სიცოცხლისა [7, გვ.7]. შემსრულებელი, მოცეკვავე, იღგა სპეციალურად ცეკვისთვის გამზადებულ უიცარნაგზე, ხელში ეპყრა ბამბუკის ტოტი და მახვილი. (იგივე ატრიბუტები, რაც უშუმეს). მოედანზე, სადაც სრულდებოდა ცეკვა, ინთებოდა ცეცხლი, რომლის გარშემოც თავსდებოდნენ მაყურებლები.

ამრიგად, ძნელი არაა იმ მსგავსების დანახვა, რაც არსებობდა ამ ორ ცეკვის შორის. გარდა იმისა, რომ ისინი შესრულებითაც ჰგავდნენ ერთმანეთს, ფრთვები შინაარსობრივი დატვირთვითაც ისინი, ორივე, მაგიური ცეკვებია და სიცოცხლის გახანგრძლივების სიმბოლოს მატარებლები. ამდენად საკმაოდ დიდია უძველესის როლი, უძველესის გადმონაშთის არსის გავლენა, ტრადიციული იაპონური თეატრის სპეციალიკური სახის ჩამოყალიბებაში.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ მათ ვეწოდებთ ცეკვებს, ეს არაა შეცდომა, რადგანაც ისინი ცეკვებია, მუსიკის თანხლებით. თუმცა აღბათ გაცილებით სწორი იქნებოდა, თუ მათ ვუწოდებთ ქორეოგრაფიულ პანტომიმას,<sup>9</sup> სადაც არა მარტო ჟესტიკულაცია იყო დატვირთული, აგრეთვე მუსიკაც და ატრიბუტებიც. ამითაც მკეთრად განსხვავდება ეს წარმოდგენები დასავლურისგან, რადგანაც თუ დასავლურში შეგვიძლია ცალ-ცალკე მსჯელობა სცენურ წარმოდგენებსა და მუსიკაზე, აქ გამოყოფა ცეკვის მუსიკისგან შეუძლებელია. ეს ვევლაფერი ერთიანი სინთეზია. სწორედ ამიტომაც იყო, რომ VII-VIII სს-ებში იაპონიაში ჩამოყალიბებულ სკოლებში, ცეკვის ხელოვნების სწავლების გვერდით დიდი ფურადება ეთმობოდა მუსიკის სწავლებასაც.

სანამ მუსიკის თავისებურებებს შევეხებით, მანამ უნდა აღინიშნოს ამ პერიოდის იაპონური წარმოდგენებისათვის სახასიათო კიდევ ერთი თავისებურება. ესაა ის, რომ VII-VIII სს-ებში სკოლების გახსნასთან ერთად ყალიბ-



დება ცეკვის ისეთი ფორმები, როგორიცაა კაგურა, გიგაკუ, ბუგაკო [12]. მათ შორის კაგურა არის კველაზე მეტად დაკუშირებული ე.წ. უძუმეს ცეკვასთან (სიტყვა-სიტყვით „კაგურა“ ნიშნავს „ღმერთების მუსიკას“). ეს ცეკვა იმართებოდა საიმპერატორო ქარჩე დაახლოებით XVIII ს-და ამ ცეკვის შემსრულებლებს კი აღიქვამდნენ, როგორც უძუმეს შთამომავლებს და უწოდებდნენ „სარუმე ნო-კიმი“-ს.

გიგაკუ კი იყო კორუიდან შემოტანალი (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მუსიკის ხელოვნებას“). ამ ცეკვის გავრცელება იაპონიაში უკავშირდება ვინმე მისიონერ მიმაჩის სახელს, რომელიც კორეელი კოფილა წარმომავლობით, მაგრამ თვითონ ამ ცეკვის ფორმა არაა სუფთად კორეული. იგი სათავეს იღებს ინდური ცეკვიდან, რომელიც ჯერ ჩინეთში გავრცელებულა ბუდისტური რელიგიის გავრცელებასთან ერთად და შემდეგ ჩინეთიდან გადასულა კორეაში. გიგაკუს ცეკვის ათამდე ნაირსახეობა არსებობდა. გველა სახეობის გიგაკუს ცეკვა სრულდებოდა ნიღბებით (მათ შორისაა ფართოდ ცნობილი ე.წ. „ლომის ცეკვა“, რომელ ცეკვასაც განსაკუთრებით მხაშვერელოვანი აღიდილი უპავია ჩინეთში, და დღესაც ფართოდ სრულდება ფესტივალებზე).

ხოლო ბუგაკუ (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „საცეკვაო მუსიკას“), შედარებით უფრო რთული ტიპისაა, იმდენად, რამდენადაც აქაა გაერთიანება რამდენიმე ქვეყნიდან შემოსული ტიპებისა. მაგ., ე.წ. მარცხენა მხარის ცეკვა (სამაი) სამი ქვეყნის სხვადასხვა ტიპის ცეკვების გაერთიანებითაა მიღებული. ეს ქვეყნებია: ინდოეთი, ჩინეთი, ცენტრალური აზია. ამ ცეკვის შემსრულებლები იცვამდნენ წითელი ფერის სამოსს, განსხვავებით მარჯვენა მხარის მოცეკვებებისაგან. ხოლო ეს მეორე კი, (ე.წ. მარჯვენა მხარის ცეკვა) (უმაი) აერთიანებდა ორი ქვეყნისათვის კველაზე მტრად სახასიათო ცეკვების ტიპებს. ეს ქვეყნები იყო: კორეა და მანჯურია. ისინი უპირატესობას ანი-

ჭებდნენ მწვანე ფერის სამრის [12, გვ. 8; 6, გვ. 206].

ეს რომ უფრო უცველი იყოს გაგებული, ამისათვის უნდა განიმარტოს კიდევ ერთი თავისებურება სახასიათო იაპონური სათვატრო წარმოდგენისათვის. საქმე იმაშია, რომ წარმოდგენია იმართებოდა თოხუკუთხედ სცენაზე, რომელის გარშემო თოხივე მხრიდან თავსედებოლებნენ მაყურებლები, რაც უძველებების იმას, რომ სცენას არ გააჩნდა არანაირი დეკორაცია და უკლისები. მსახიობები სცენაზე ადიოლებნენ მაყურებლების მასის გაკვეთით, საზეიმო შსველობით, დაახლოებით „/“ ფორმით სცენისკენ. ამრიგად, ბუგაკუს ცეკვის ტიპისათვის სახასიათო სახელები—მარჯვენა მხარისა და მარცხენა მხარის ცეკვები, არაა შემთხვევითი. დღეს-დღეობით უკვე ცნობილია მარცხენა მხარის ცეკვას 37 სახეობა, მარჯვენა მხარის ცეკვისა კი — 24 [12, გვ. 8; 6, გვ. 206].

არსებობს კიდევ ერთი თავისებური ტიპი ცეკვისა — გიგაკუ, რომელიც ჩამოყალიბდა ბუგაკუსა და გიგაკუს ურთიერთშერწყმით (სიტყვა-სიტყვით გიგაკუ ნიშნავს „საზეიმო მუსიკას“). ესაა სინკრეტული, თავისი ხასიათით მუსიკა, რომელიც სრულდებოდა ბუდისტურ ტამრებში წირვის დროს, ან თან ახლდა სახახლის კარზე არსებულ მრავალრიცხვან ცერემონიებს. გიგაკუს სუფთა ინსტრუმენტული მუსიკა აეგებულია ჩინურ ბერათაწყობის მიხედვით, ხოლო ვოკალური—იაპონური ვოკალური მუსიკა ჭიდიღოდ დაუკავშირდა იაპონიის მუსიკალურ ფოლკლორს. ამან გამოიწვია ის, რომ წარმომაშვა საინტერესო მოვლენა—პარალელური თანარსებობა ორი განსხვავებული ბერათაწყობისა ერთ მუსიკალურ ჟანრში [7, გვ. 26].

როგორც ვხედავთ, საქმაოდ დიდია ჩინური ხელოვნების გავლენა იაპონურზე.<sup>10</sup> როგორც ჩანს ამანვე განაპირობა ის, რომ იაპონიაში, ჩინურის მსგავსად, გაბატონდა ხუთსაფეხურიანი ბერათაწყობისა ერთ მუსიკალურ ჟანრში

განისა ამ მხრივ ნ. ა. იოფანი, სადაც თითოეულ ბერიას, ამ ხუთსაცებურიან ბერიათაწყობაში შეესაბამება გარკვეული ფერი, ელემენტი, მხარე და ა. შ. [7, გვ. 27]. მაგ., დოს (იაპონურად „ქაუ“, ჩინურად „გუნ“) შეესაბამება მხარეთაგან ჩრდილოეთი, ფერებიდან — შავი, ელემენტებიდან — წყალი; რეს (იაპ. „ხიო“, ჩინ. „შან“) შეესაბამება — აღმოსავლეთი, ცისფერი, ხე. მის (იაპ. „კაშ“, ჩინ. „ძიო“) — ცენტრი, ყვითელი, მიწა; სოლს (იაპ. „ტიო“, ჩინ. „ჩეენ“) — დასავლეთი, თეთრი, ღითონი; ლას (იაპ. „უ“, ჩინ. „იუა“) — სამხრეთი, წითელი, ცენტრი. ეს კი, ხუთსაცებურიანიბა ბერათაწყობისა, თავისუფლად შესაძლებელია, რომ ჩინურში გაბატონებულიყო ისეთი ფილოსოფიური შეხედულების ბატონობიდან გამომდინარე, როგორიც იყო დაოსიხმი. კერძოდ, ლაო-ძის „და დე ძინის“ XII თავში (ე. ვ. ზავადესკაიას მითითებით კი VIII თავში) გეგვდება ეს დებულება: „ხუთნაირი ფერი: აპრმავებს თვალს; ხუთნაირი ბერა: აპშობს ფერს“. [1, გვ. 93; 3, გვ. 63]. ამ დებულებამ განაპირობა მთელი რიგი იმ თავისებურებებისა, რაც სახასიათოა ჩინური ფერწერისათვის და თვით ხატვის სწავლების სისტემისათვისაც კი<sup>11</sup> და არა მხოლოდ ამ სფეროსთვის. მაგ., თეატრ ნოს სპექტაკლები, რომლებაც ექვსი საათი გრძელდებოდა, დღესაც, როგორც მაგ., XVI ს.-ში იყო მიღებული, ხუთი ძიებისაგან შედგება; ხუთი იქცა იმ საკრალურ ციფრად, რომელიც საქმიოდ ბერ რამეში გამოვლინდა; თუნდაც ქვეყნის ოთხ მხარეს დამატებული მეხუთე — ცენტრი. ხუთი წმინდა წვერვალის არსებობა და სხვა.

საერთოდ, ფერების, ბერების, მხარეების ურთიერთდაკავშირებაც არ არის შემთხვევითი, თუნდაც ის ფაქტი, რომ ფერებისა და მხარეების დაახლოებით ასეთ დაყოფას ვხვდებით ბუდების გამოხახვიც. კერძოდ, მაგ., ი. ნ. რეინი, რომელიც აღწერს სამხრეთის ბუდიზმის პანთეონის ერთ-ერთი მთავარი დეთაების ტარას

იკონოგრაფიულ ტიპს [8, გვ. 26]. სამხრეთი ნაშავებ, რომ ტარა შეიძლება გვამომზრდოს სახის ხუთი ფერით: წითელი, ცისფერი, თეთრი, ყვითელი, მწვანე. თავის მხრივ, ეს ფერები დამატებით პანთეონის სხვა ღვთაებების სიმბოლოებიცაა. კერძოდ, ცისფერი—აქშობპის, რატნასა—მშპავასი — ყვითელი, ვაიროჩანის — თეთრი, წითელი — ამიტაბბესი, ამოგასიდგის — მწვანე. ხოლო მხარეები კი შემდეგნაირად ეთანხმება ამ ფერებს. ჩრდილოეთი არის მწვანე, სამხრეთი — ყვითელი, აღმოსავლეთი — თეთრი, დასავლეთი — წითელი, ცენტრი — ცისფერი. აგრეთვე ჩრდილო, ამერიკის ინდივიდუალთანაც გვხვდება ფერებისა და მხარეების დაყოფა, სადაც თეთრი აღნიშნავს სამხრეთსა და შვეიცავს, ბერის და შემორჩენის. წითელი — წარმატებას, ზეიმს და აღმოსავლეთს. შავი — სიკვდილს და დასავლეთს. ცისფერი — შიშს, საფრთხესა და ჩრდილოეთს.

ამასთან ფერებს იაპონიაშიც პერნდათ ცალკე თავისი სიმბოლური დატვირთვა. მაგ. მიღებული იყო, რომ წარმოდგენის მთავარი ფიგურები და ღვთაებების განმასახიერებელინი ჩაცმული უნდა ყოფილიყვნები მხოლოდ თეთრი ან წითელი ფერის სამოსში (და არა შავი ან ყვითელი). თვით თავსაბურავიც კი (საუბარია ლენტზე, რომელიც თავზე აქვს წაკრული სამიწაომოქმედო რიტუალის, ცეკვის შემსრულებელს) გვხვდება წითელი ან თეთრი ფერის. საერთოდ ლენტის გაეკთება თავზე იქიდან მომდინარეობს, რომ მიწაზე მუშაობის დროს თავზე მართლა იკრავდნენ ახეთ ლენტებს, რათა გამოყოფილ რფლს, რომელიც შეიძლებოდა თვალებში ჩასვლოდათ, ხელი არ შეეშალა მათთვის მუშაობაში.

სხვათაშორის ფერთა სიმბოლიკაზე. მაგ., წითელი ფერი. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ფაქტი. მველად ჩინელები ბავშვებს ქველზე აბამდნენ რაიმეს, წითელი ფერისას და ამძლებდნენ ეფურებინათ ამ ფერისათვის, როგორც ბოროტი სულებისაგან ყველაზე კარგ



დამცველ საშუალებაზე. აგრეთვე, ბევრ ქვეყანაში, ხელზე იძამდნენ ხოლმე წითელ ნაჭრებს. ლენტებს, რათა დაცულნი ყოფილი ყერი, აგრეთვე, აღნიშნავდა ძალაუფლებასაც. მაგ., პიზანტიაში მხოლოდ იმპერატორ ქალს შეეძლო ცმოდა წითელი ფერის უეხსაცმელი.

ამრიგად, არც ფერია შემთხვევათი და არც ის, თუ რა საკრავით იწყვბოდა წარმოლენა. მაგ., ღოლი. იგი ასოცირებულია ზამთარითა და სხვა. ხოლო მონაცელება რიცხვსა (რაც შეესაბამება მინორულ გამას) და რიცხი (შეესაბამება მაჟორულ გამას) გადმოვცემს როტუალურ დაპირისირებას - ზეცისა და მიწის, ნათელისა და ბენელის, მაღალისა და დაბალის, მამაკაცისა და ქალის, ანუ იან-ინის დუალიზმს [7, გვ. 30]. ამრიგად, ყველა დეტალს თავისი ენა გააჩნია. უფრო მეტიც, უძველეს პერიოდში არსებობდა დღესასწაული „ტორიმონოუტა“ („სიმღერა ტორიმონეზე“), ანუ სიმღერა საგნებზე, რომლებიც გამოიყენებოდა ცეკვის შემსრულებლების მიერ, როგორც ატრიბუტები. ამ საგნების რაოდნება ყოფილა სულ ცხრა: საკაკის ხის ტოტი (საკაკი - მუდამ მწვანე ბუჩქი). სინტოისტურ რელიგიაში თაყვანს სცემდნენ, როგორც წმინდა ხეს. მას სამსხვერპლო ძღვნადაც იყენებდნენ. მიტიგურა - ქაღალდის ფურცელებისაგან შექრული, ხვეული გრანილი; ხელ-ჯოხი; დაბალი ჯიშის ბამბეკის ხის ჯოხი; მშვილდი; ზარი;<sup>12</sup> მახვილი; ყელსაბამი და კამურას ხის ტოტი (ხვიარა ბუჩქია). რაც შეეხება მარაოს, რომელიც ასე სახასიათოა იაპონური წარმოდგენებისათვის, ეს მოგვიანო პერიოდში იქნა შემოტანილი და ფართოდ დანერგილი. მარაოთი შესრულებულ ხელის ყოველ მოძრაობას კიდევ ცალკე აქვს ძალიან მრავალფეროვანი და ურთიერთგანსხვავებული სიმბოლოები. თუმცა ერთი კი შეიძლება აღინიშნოს, რომ მარაომ შეცვალა თი-

თქმის ყველა ქველად არსებულების სიმბოლოების მეტი.

ამრიგად, არც ატრიბუტებია შემთხვევითი და კადევ ერთი უაქტი. კერძოდ, ყვავილებისაგან დაწნული გვირვავინები. აქაც თავისიერური სიმბოლური დატვირთვა შეინიშნება. კერძოდ, ყვავილების შერჩევა გვირვავინებისათვის, რომელაც თავზე ადევო მოცეკვავებს, საკმაოდ სერიოზულ ყურადღებასა და ღრმა ცოდნას ითხოვდა, რადგანაც ესა თუ ის ყვავილიც, თავისი სიმბოლოს მატარებელიც იყო. მაგ.: მოლიანად გაშლილი ყვავილები, სათესლე კოლოფები, გამხმარი ფოთლები გამოხატავდნენ წარსულს; ნახევრად გაუშრინებული ყვავილები ან მწვანე ფოთლები - აწყობს; კოკრები, დაბერილი კირტები - შომავალს. წლის დროსაც აქვს თავისი სიმბოლიკა: გაზაფხული - მკეთრად მოღუნული ტოტია, ზაფხული - ყვავილთა ფურცელები; შემოღომა - მეჩხრად ჩასობილი წვრილი ტოტები; ზამთარი - შიშველი რტოები და სხვა [2, გვ. 190]. ეს სიმბოლიკა უართოდ დაედო საფუძვლად იაპონიაში გავრცელებულ ყვავილების თავიულთა შეკვრის ე.წ. ოკებანას ხელოვნებას.

როგორც კხედავთ, მუსიკა, ატრიბუტები, სამოსი და ა.შ. ყველაფერი რაღაცის მოქმედია, რაღაცის მანაშნებელი. მათი ცოდნაც აუცილებელია, თუ გვინდა გაგებული იქნას იაპონური თეატრალური წარმოდგენის არსი, (მითუმეტებს, რომ მუსიკის, ცეკვისა და დიალოგის სინთეზი, როგორც დრამატული მოქმედების ელემენტისა, იქმნება მოგვიანებით), რომლის ფონზეც თავისი სახასიათო ენით, როგორც მობილიზატორი ყოველივესი (მოყლი იმ სიმბოლოების ენისა, რაც უკვე აღინიშნა) და მთხოობელი, გამოიდის მოცე-



კავე—შემსრულდებელი. თუმცა აქ კიდევ ერთი ფაქტი გასათვალისწინებელი — ცემა-პანტომიმასაც თავისი ენა გააჩნია. უძველესი პერიოდის პანტომიმის შესახებ ლეგენდაც კა არსებობს, რომელსაც მოგვითხრობს II ს-ის მწერალი ლუკიანე, პანტომიმის ხელოვნებაზე საუბრისას. კერძოდ, პონტოს მეფის ელჩმა იმპერატორ ნერონს სთხოვა მათვის დაეთმო პანტომიმის ხელოვნების საუკეთესო მცოდნე, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებდნენ ურთიერთობის დამყარებას მეზობელ ტომებთან, რომელთა ენაც გაუგებარი იყო მათვის. ცხადია, ამ მხრივ ელჩი იმედოვნებდა, მსახიობის ბუნებრივ გამომსახველობით უნარს, რაც გაბატონებულია ღლევანდელ პანტომიმის ხელოვნებაში და ორა პირობით ექსტრიელაციას, რომლის ენაც სხვებისთვისაც ისევე გაუგებარი იქნებოდა, როგორც თვით პონტოელი დაპლომატებისათვის.

იმისათვის, რომ ამ ხელოვნების ენა გასაგები ყოფილიყო, საბერძნეთში შემუშავებული იქნა სპეციალურად ხელების გამომსახვლობითი უნარის შემსწავლელი მეცნიერება, ე. წ. პირონომია, სადაც ცალკე თავი პქონდა დამობილი თითების მოძრაობებს, ე. წ. დაკტილოლოგიას [10, გვ. 11].

თუმცა, ამ მხრივ, გაცილებით როგორ სურათია ინდურ ხელოვნებაში, სადაც სპეციალური ენციკლოპედიაც კი შემუშავდა ექსტრიელაციის სიმბოლიკის შესახებ.

რაც შეეხება იაპონურ პანტომიმას, ამ მხრივ, ეს საკითხი ღლესდლეობით კარტუნულ კულტურის საგანმ წარმოადგენს. მითუმეტებ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფართო გავლენას სხვა ქვეყნების ხელოვნებისას, როგორიც შეიმჩნევა ადრე შუასაუკუნეების პერიოდის იაპონურ ხელოვნებაში.

ამრიგად, საგმაოდ საინტერესო და სიმბოლოებით მოცელ სათვატრო უწყვეტი ლოგიკასთან გვაქვს საქმე, სადაც თათოვეულ ატრიბუტს, მუსიკალურ ნოტს, მოძრაობას, ყველაფერს გააჩნდა თავისი დატვირთვა. ყველაფერი თამაშობდა თავის წილ როლს და იმდენადაა ეს ყველაფერი ერთმანეთთან გადაჯაჭვული და ერთმანეთისაგან გამომდინარე, რომ საქმაოდ ძნელია რომელიმე შათგანზე ცალკე საუბარი ამ სათვატრო ხელოვნების ზოგადად წარმოჩნდის შემთვევაში. ესაა საინტერესო სინთეზური ხასიათის ხელოვნება, რომელმაც საქმაოდ დიდი როლი ითამაშა თაპონიის სათვატრო ხელოვნების ჩამოყალიბებაში.

#### ზორივანები:

1. „კუძიკი“ — პირველი ისტორიული ქრონიკები დაიწვა 644 წელს და შოლწია ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტული სახით. არსებობს კიდევ ერთი წიგნი „ენგისიკი“ („ცერემონიალებისა და დაზე-ჩვეულებების წიგნი“), რომელიც თავის ღროვაზე 50 ტომისაგან შედგებოდა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია, მხოლოდ მოგვიანო პერიოდში გადაწერილი, ამ 50 ტომის პირველი 10 ტომი, დათარილებული 927 წლით.

2. ყორდანებში დიდი რაოდენობითაა ნაათვინი უძუმეს ქანდაკებები დათარილებული V-VI სს-ებით. ამ ქანდაკებებს ეწოდებათ „ხანივები“, რაც ნიშნავს „თიხის ფიგურებს“, იქიდან გამომდინარე, რომ ქანდაკებები გაკეთებული იყო თიხისაგან.

3. სამიწათმოქმედო სამუშაოებთან დაკავშირებული სარიტუალო ცეკვები გაერთიანებული იყო „ახობი“ სახელწოდების ქვეშ. მათვე განეკუთვნება აგრეთვე კამი-ახობი — „ღმერთების ახობი“. მოგვიანებით ამ ცეკვებს უწოდეს კაგურა. როგორც იაპონელი მევლევარები თვლიან, ეს სიტყვა წარმოადგენს კამუკურა სიტყვის შეცვლილ სახეს.

ხოლო კამუჯურა კი ნიშნავს – „ღმე-  
რთების საგდომეს“, ანუ „კიდობანს“,  
რომლის გარშემოც ხრულდებოდა რი-  
ტუალი – ცეკვა.

4. 1873 წლამდე იაპონიაში მოქმე-  
დებაში იყო „მთვარის კალენდარი“, რო-  
მელიც მოიცავდა 854-855 დღეს წელი-  
წადში.

5. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი გა-  
რემოება. სხვადასხვა სოფელში ერთი  
და იგივე ზემით სხვადასხვა სახელწო-  
დებითაა ცნობილი, შინაარსობრივი  
დატვირთვით კი ერთნაირია. ყველაფე-  
რი ეს მიუთითებს იმაზე, რომ სხვადა-  
სხვა რაიონში სხვადასხვა დამოკიდებუ-  
ლება იყო ამ აქტის მიმართ, რომელმაც  
დროთა განმავლობაში მიიღო ნახევრად  
ხარიტუალი, ნახევრად გასართობი სა-  
ნახაობის სახე. (5, გვ. 15).

6. მხევსი ცეკვა შეინიშნება შალაა-  
ზიელ ხალხთან და ბევრ სხვა აღმოსა-  
ვლეო ქვეყნებშიც. ძირითადად ამ ცეკ-  
ვას ახრულებდნენ მზის დაბნელების  
დროს, რათა უკან გამოიხმოთ მზე, დაე-  
ხსნათ მნათობი ურჩეულის ტყვეობი-  
დან.

7. ნოს ოფატრი ჩამოყალიბდა უშუა-  
ლოდ ძველი წარმოდგენების საფუძვე-  
ლზე. მისი წარმოშობა უკავშირდება  
ძემით შოტოკიოს სხელის (1363-1443).  
ამავე პერიოდში ყალიბდება კიდევ ოთ-  
ხი ხეოლა, (ტრადიციული წარმოდგე-  
ნების აღდგენისა და განვითარების სა-  
ფუძველზე). ესენია: კანძე, კომარუ,  
ჰობიო, კონგო. XVII ს-ში ყალიბდება  
კიდევ ერთი ხეოლა – კიტა. უნდა აღ-  
ინიშნოს, რომ ამ სკოლებს შორის გან-  
სხვავება ფორმალურია [2, გვ. 181].

8. უძველეს პერიოდში, ქალის მიერ  
შესახრულებელ როლს წარმოდგენებში  
ახრულებდა ქალი. მოგვიანო პერიოდ-  
ში იქნა შემოღებული ქალის როლის  
შესრულება მამაკაცის მიერ.

9. საერთოდ, როგორც გვამცნობს ა-  
რუმნევი, პანტომიმა შეინიშნება იმ სა-  
ლხთა ისტორიაში, რომელთა ცხოვრე-  
ბაც ნადირობასთან იყო უშალოდ და-  
კავშირებული. ეს წარმოდგენები დღე-  
საცაა შემორჩენილი აფრიკისა და აზ-  
იის ზოგიერთ ქვეყნებში მცხოვრებ ხა-  
ლხთან. (პალეოლიტის პერიოდში გა-  
მოქვაბულის კედლებზე შესრულებულ  
ნახატებშიცაა აღბეჭდილი). ამ წარმო-  
დგენის დროს იმიტაცია კეთდებოდა ნა-  
დირობისა ნადირობამდე. ერთ-ერთი  
ძაძავს ამა თუ იმ ცხოვრებს, რომელზეც  
აპირებენ ნადირობას, სხვები კი ცდი-  
ლობენ მის შეპყრობას. მათი წარმოდ-  
გენით ეს უნდა დახმარებოდა მათ შემ-  
დგომში ნადირობის მათდა სახიეროდ  
დასრულებაში [10, გვ. 19-20]. მნელი  
ხათქმელია შეზონდა თუ არა ასეთ წარ-  
მოდგენას ადგილი იაპონიაში, მაგრამ  
იქიდან გამომდინარე, რომ ფართოდა  
ფესტივალებზე ცეკვების შესრულება  
ცხოვრების ნილებით, ხომ არ ნიშ-  
ნაეს რაიმე გამოხმაურებას გაცილებით  
ძველად არხებულისა, ყოველ შემთხვე-  
ვაში მიწათმოქმედებით გატაცებულ  
ხალხთა ცხოვრებაში, ცხადია, გაცი-  
ლებით დიდი ადგილი დაეთმობოდა  
სწორედ მიწათმოქმედების კულტან  
დაკავშირებულ ცერემონიებს.

10. საერთოდ ასეთი დიდი გავლენა  
სხვა ქვეყნების ცეკვებისა, უფრო სწო-  
რად, სხვადასხვა დეტალების აღება და  
ურთიერთშერწყმა, იმითაც იყო განპი-  
რობებული, რომ ამ პერიოდში გახს-  
ნილ საციალურ სკოლებში მოწვევლი  
იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან მასწავ-  
ლებლები. ისინი, ცხადია, აქ მათ ას-  
წავლიდნენ, აცნობდნენ თავიანთი ქვე-  
ნის ხელოვნებას.

11. ჩინური ფერწერისათვის სახასი-  
ათო მხატვრული საშუალებების თავშე-  
კავებულება და ლაქონიზმი, რითაც სა-  
ხიათლება მათი მოხორციომული ფერწე-  
რა, განისაზღვრა ლაო-ძის სწორედ  
ამ დებულებიდან გამომდინარე. აღ-  
სანიშნავია აგრეთვე ისიც რომ ახა-

ლგაზრდა მხატვარს ახწავლიდნენ თუ როგორ დაეხატა ერთი ხე, ორი ხე, სამი ხე და ხუთი ხე (ოთხი ხის ხატვისას იხატებოდა სამს დამატებული ერთი, ან ორი წყვილი ხე გამოისახებოდა). ითვლებოდა, რომ თუ მხატვარი დაეუფლებოდა ხუთი ხის ხატვას, მას შეეძლო დაეხატა ასეულობით ხე [11, გვ. 84].

12. იაპონიაში არსებობდა ზარების ღილი კულტი. კორდანებში ხანივების გვერდით ფართოდ იქნა აღმოჩენილი ბრინჯაოს ზარებიც ვ. წ. „დოტაკები“. უძველეს პერიოდში ზარი წარმოადგენდა საკულტო დანიშნულების ხაგანს.. ამას შეტყველებს ის, რომ ვველა სახის დოტაკები ნაპოვნი იქნა შემაღლებულ აღილზე, სადაც იყო აგებული ტაძრები.

საერთოდ, ბუდების გამოსახვაშიც შეინიშნება ბუდა ზარის სამაჯურით მარცხენა ხელზე. ზარი ამ შემთხვევაში, შაგ, ლამაისტური რელიგიის მიხედვით სიმბოლოა [8, გვ. 22].

- \* \* \*
1. ლაო-ძი, „დათ დე ძინი“, თბ., 1983.
  2. პრონიკოვი ვ., ლადანოვი ი., „იაპონეული“, თბ., 1991.

3. Васильев Л. С., «Роль традиции в истории и культуре Китая», М., 1972.

4. Герман Генкель, «Боги Японии», Санкт-Петербург, 1904.

5. Глускина А., «Заметки о японской литературе и театре: Древность и средневековье», М., 1979.

6. Иофан Н. А., «Культура древней Японии», М., 1974.

7. Искусство Японии (Сборник статей), М., 1965.

8. Жуковская Н. А., «Ламаизм и ранние формы религии», М., 1977.

9. Мещеряков А. Н., «Древняя Япония» (Буддизм и синтоизм), М., 1987.

10. Руминев А., «Пантомима и ее возможности», М., 1966.

11. Слово о живописи из сада гор-тическое зерно, М., 1972.

12. Bowers Faubion, „Japanese theatre“, Tokyo, 1974.

## პერან

## ვალეკიცილის

# ცხრილება და მოღვაცობა

(1910-1998)

## ცალი ამაშუალი

ვერმან ვადეპაინდი დაიბადა 1910 წლის 18 ნოემბერს კესტფალის ქალაქ კოსტფელში. 4 წლისას გარდაუცვალა დედა, მესამე შვილს გადაჰყვა. სამძიმარზე მოსულნი ჯაბეებს კანფეტებით უვსებდნენ და ბავშვმა ინატრა, ნეტავ ხშირად კედლებოდეს. მამა მეორედ დაქორწინდა ცოლისდაზე და ბიჭს უჭირდა და დეიდისათვის დედა დაეძახა. მამა აღზრდის მიზნით ხშირად სცემდა შვილებს. პერმანი იმდენს და ისე ხმამდლა ტიროდა, რომ ხმა გაუჩნდა და სიმღერა დაიწყო. მის მშობლებს სიმკაცრე და ხამართლიანობა სიყვარულში ერეოდათ, მაგრამ უსიყვარული სამართლიანობა, პერმანის აზრით, დიქტატურაა, ისეთივე როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ბავშვობის უმშევნეობრეს დღედ მიაჩნდა პირველი წმინდა ზიარება. ამ ზემინისთვის საგანგებოდ მოკაზმეს, ხელში სანთელი დააკავებინეს და ეპლესაბი წაყვანება. ზარების რეკვა, ორგანის ჩუმი ხმა სამუდამოდ ჩაებეჭდა გულსა და ტვინში. ეკლესია მუდა მოსწონდა, იქ არავის სცემდნენ, მშვენივრად მღეროდნენ და თვითონაც მღერო-